# საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

## (2018 წლის დეკემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2018 წლის დეკემბრის თვეში.

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2018 წლის 22 დეკემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი 505[1]-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„განვადებით ნასყიდობისას, თუ განვადებით ნასყიდობის შედეგად მყიდველის ჯამური ვალდებულებები ამავე გამყიდველის მიმართ 200 000 (ორასი ათას) ლარს არ აღემატება, გამყიდველის მიერ 200 000 (ორასი ათას) ლარამდე ნივთის ფასის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.“
შეიცვალა ასევე 576-ე მუხლი და მისი მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი და ლიზინგის დაფინანსების თანხის გაცემის შედეგად ლიზინგის მიმღების ჯამური ვალდებულებები ამავე ლიზინგის გამცემის მიმართ 200 000 (ორასი ათას) ლარზე ნაკლებია, ლიზინგის გამცემის მიერ საზღაურის მიღება არ უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული.“
გარდა ამისა მე-5 ნაწილის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 ნაწილი:
„6. თუ ლიზინგის გამცემი მეწარმეა, ლიზინგის გაცემისას ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთანავე, ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაიცვას ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები საკომისიოსთან, ფინანსურ ხარჯთან, პირგასამტეხლოსთან და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის დაკისრებასთან დაკავშირებით. ამ მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით



Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დაადგინოს ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესი.“.

ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდა ამ კანონის გამოქვეყნებიდან მე-14 დღეს.
ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდა ამ კანონის გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

## საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

2018 წლის 13 დეკემბერს რამდენიმე ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექში, რომელიც ძირითადად ეხება თამბაქოს მოხმარებას. კერძოდ, 155[3] მუხლის: პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„1. თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია იმ დაწესებულებაში, დაწესებულების საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია მისი რეალიზაცია, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.“
ასევე 1711 მუხლის: მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ფიზიკური პირის მიერ თამბაქოს მოწევა იმ შენობა-ნაგებობაში, მათ შორის, მრავალბინიანი სახლის იმ ნაწილში, რომელიც საერთო ქონებაა (ვესტიბიული, სადარბაზო, დერეფანი, კიბის უჯრედი, სარდაფი, სხვენი, სახურავი, ლიფტი და სხვა), შესაბამისი დაწესებულების საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ან იმ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სადაც მოწევა აკრძალულია, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.
4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენიდან 1 წლის განმავლობაში ამ სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა –
გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.“;

კანონი ამოქმედდა მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს

## „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი

2018 წლის 22 დეკემბერს ცვლილებები შევიდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში. ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით შეიცვალა 26[4] მუხლის მე-8 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„8. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სავალდებულოა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შესახებ



Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დასკვნა, რომელსაც მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიმართვის საფუძველზე გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.“

ეს კანონი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან.

## „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი

2018 წლის 27 დეკემბრის კანონით შეიცვალა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან.“.
რაც შეეხება თვითონ ცვლილებას მის მიხედვით შეიცვალა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„2. ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშის, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციისა და ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეცეთ შესაბამისი ანგარიშის მფლობელს და მის წარმომადგენელს, საქართველოს ეროვნულ ბანკს – მისი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საგადასახადო ორგანოს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე მიეცემათ.“.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2018 წლის 27 დეკემბერს.



Legal Consulting Center LLC
*add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia*
*Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia*
*ID: 445392227*
*www.legalconsulting.ge*
*info@legalconsulting.ge*